№13 (280) ● 9 აპრილი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

საერთო საქმე

დავით მალრაძე:

თუ ქარიელ კულტურას პრიორიტეტად არ აცხადებ, რად გინდა კულტურის სამინისტრო?

ზაალ კასრაელიშვილი:

რუსები საქართველოს ტერიტორიაზე კორიდორის გაკეთებას აპირებენ,

9.IV.1989 – 9.IV.2014

უხმლო ლაშქარი

(9 აპრილს ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას)

ვაიმე, ჩემო უხმლო ლაშქარო,
სად მიხვალ, საით მიეხეტები.
ანგელოზებო, ფრთები გაშალეთ,
რომ დაიფაროთ უხმლო მხედრები.

ვის სთხოვ შველას და ვის სთხოვ სამართალს,
როცა მგლებივით ირგვლივ გივლიან.
ჰაი, დედასა, ხმალი წაგართვეს,

„სადაურსა სად ნაიყვან“...

* შორენა შენგელია წლების განმავლობაში არაერთი გაზეთის კორესპონდენტი იყო და მცირეხნიანი პაუზის შემდეგ კვლავ უბრუნდება ჟურნალისტის პროფესიას.*

სოხუმის დატოვების შემდეგ მისი თქმით, ერთადერთი, რითაც ცხოვრებამ გაანებივრა იყო ის, რომ ბედისწერა კარგ ადამიანებს აბვედრებდა და მათთან ურთიერთობას მისთვის უდიდესი ბედნიერება მოჰქონდა. ასეთი ადამიანების საკმაოდ მოზრდილ სიაში ნომერ პირველი ბატონი კონსტანტინე და ქალბატონი ელენ ილიასკუების ულამაზესი ოჯახია, რომლებმაც შორენა შენგელიას ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს და ორი ათეული წლის წინ სოხუმიდან გამოქცეული გოგონა დღეს უკვე რამდენიმე საოცრად საინტერესო წიგნის ავტორია და საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს როგორც ქართველ დიასპორაში, ასევე ადგილობრივებს შორის, რაც ნათელი დასტურია იმისა, რომ თუ ადამიანი შორენასავით ზნეკეთილია, იცის და სჯერა, რომ ადამიანს უდიდესი შესაძლებლობები აქვს. მოინდომებს და ყველაფერს მიაღწევს.

შორენა შენგელია: დავიბადე და გავიზარდე სოხუმში, ვარ საქართველოდან ორჯერ ლტოლვილი...

არ ვიცი, სხვაგვარად რა ვუწოდო, იმ ომში „აფხაზურ-ქართული კონფლიქტით“ რომ მოიხსენიება. დავმარცხდით აფხაზებიც და ქართველებიც. რასაც ვერ გრძნობდნენ „გამარჯვების“ ეიფორიაში მყოფი აფხაზები, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ ჯერაც ნაცარტუტად ქცეული აფხაზეთის ხედებია ამის უტყუარი მოწმე.

დევნილის ცხოვრებამ, უამრავმა პრობლემამ ნათლად დაგვანახა, უაზრო მტრობამ, მთავრობის პოლიტიკის მოუქნელობამ და უგნურმა ნაბიჯებმა როგორ დაანგრია საუკუნეებით ნაშენები ურიერთობები. გაითელა უამრავი ადამიანის ღირსება და თავგაგეცინებათ, ალბათ 10 წელია სხვის ქვეყანაში სხვის სახლში ვცხოვრობ, ვმუშაობ ჩაკეტილ პირობებში და თავისუფლებაზე ვლაპარაკობ, მაგრამ ეს ხომ ჩემი არჩევანის თავისუფლება იყო. ამ ნაბიჯმა ახლის გაცნობის, განცდისა და მოქმედებისკენ მიბიძგა და ამით შეიძლება რაღაც წამართვა; მაგრამ უფრო მეტი შემმატა.

შორენა შენგელია ათეში წლების განმავლობაში არაერთი ქართველის გულითადი მასპინძელია, დღე ისე არ გავა მისი კეთილი მასპინძლობით არ ისარგებლონ საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან ჩასულებმა. ძირითადად ცნობილმა ადამიანებმა, რომელებიც იქ – ჩვენი ქვეყნიდან შორსაც ინარჩუნებენ ღირსებას.

ქეთევან ჩემია

ნილ ასერსონის წიგნი „შავი ზღვა. კულტურისა და ბარბაროსების სამშობლოს“ კი უწოდებს საკუთარ „ქმნილებას“, მაგრამ კულტურაზე არაფერს ამბობს, მხოლოდ ქართველთა ბარბაროსობის დამტკიცებას ამაოდ ცდილობს ცრუ ინფორმაციით ჩვენს კიდევ ერთხელ დამცირებას, რაც საბერძნეთის მოსახლეობაზეა გათვლილი, რადგან აქ მოსახლეობის ერთ ნაწილს სულ სხვა ინტერესები აქვს აფხაზეთში, სადაც ერთ დროს იქ მოსახლე ბერძნების უარმავი მიტოვებული სახლ-კარია და დღემდე ელოდება უკან დაბრუნებაზე მეოცნებეთ, რომელებიც იმ უკეთურობის მსხვერპლნი შეიქმნენ.

თუმცა ავტორს სიმართლე მაინც წამოცდება ხოლმე ალაგ-ალაგ: „აფხაზები ჩრდილო კავკასიურად მეტყველებენ, ხოლო მეგრული განეკუთვნება ქართველურ

რომ დაეცნენ... საფრთხეში მყოფი ხალხი არ მიატოვეს საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად გამოქცევა არ იკადრეს. ამ სრულიად არასაჭირო ომის გმირები მხოლოდ მათნაირი ვაჟკაცებია და ასეთების მოკვდინება მტრის სირცხვილიცაა.

– შორენა, ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?

– განუზომელია დაკარგვის ტკივილი იმ დაუშვებელ ომში, სადაც სასტიკად დავმარცხდით, დაუნდობლად, შეურაცხყოფილად, რადგან იქ არანაირი კანონი არ არსებობდა, რადგან მისი წარმოშობისა და განვითარების საფუძველი და ყველა საფეხური სამშობლოს დაცვით კი არა პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებით იყო ნაკარნახევი, და არა მარტო, ყველას წაგვართვეს სამშობლო, რომელიც ორივეს – ქართველებსაც და აფხაზებსაც გვეკუთვნო-



მოყვარეობა, შეიწირა უამრავი სიცოცხლე, დავკარგეთ ადგილის დედა, კეთილდღეობა, ყველაფერი, რაც ჩვენთვის ძვირფასი იყო დავრჩით ბედის ანაბარა ძალაწართმეულები, გაუბედურებულები და გადატაკებულები.

აფხაზეთის ომი ჩვენი სირცხვილი მარტო დამარცხება როდი იყო, პირიქით, ამ ომში გამარჯვებული არც ერთ შემთხვევაში ჩვენ ორს აფხაზსა და ქართველს შორის არავინ იქნებოდა, სირცხვილი ომში დამარცხებული ჯარის „გენერალომანიობა" იყო და ახლაც არ მესმის, ნუთუ მართლა ნამდვილ გენერლებად თვლიდნენ თავს, მკერდს ჯილდოებით რომ იმშვენებდნენ.

გმირები გენერლები მხოლოდ **ZIULI SARTAVA, GURAM GABISKIRIA** და მათნაირები არიან, წამებულის სიკვდილით



[illegible] თად, რომელთა გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად გვეჩვენება დღემდე.

— რაშია თქვენი ცხოვრების „ბედის ირონია", რომელზეც ხშირად საუბრობთ წიგნებში?

— ალბათ კაზუსია, მაგრამ თითქოს ქალურად ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ არც უბედურად ვგრძნობ თავს, რადგან მძიმე ბედისწერასთან ერთად ყოველთვის თან მახლდა სიძნელეების დაძლევის უზარმაზარ ძალა, რაც საკუთარი თავისადმი რწმენას მმატებდა და ბედნიერებას მანიჭებდა როგორც თავისუფლებისმოყვარეს, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში მეხმარებოდა, რამაც ალბათ, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად განაპირობა ჩემი ცხოვრების სწორედ ისე წარმართვა, როგორც წარიმართა.

წიგნი – როგორც ბოროტად მოსისინე გველი

შუამავალი ქართველებსა და დანარჩენ სამყაროს შორის

ინგლისელი ჟურნალისტის ნილ ასერსონის მაღალპოლირაფიულ დონეზე ჯერ ინგლისში, ხოლო შემდეგ ბერძნულად თარგმნილი და არანაკლებ მაღალ დონეზე გამოცემული წიგნი „შავი ზღვა კულტურისა და ბარბაროსების სამშობლო" იმ იდეოლოგიური ბრძოლის გაგრძელებაა, რომელსაც ჩვენი – ქართველების წინააღმდეგ დღემდე ახორციელებენ ჩვენი მტრები და მოშურნეები და რომელსაც დუმილის გარდა ვერაფრით ვუპირისპირდებით.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მაინც გამოვთქვათ პროტესტი და ინფორმაციული ომში ჩვენი „ხმალი ვიშიშვლოთ" წიგნის წამკითხველებისთვის იმის თქმით, რომ არა მარტო ისტორიული ფაქტების დამახინჯებითა და გამრუდებით, თვით დამოკიდებულებითაც აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისადმი ავტორი საკუთარი ამ გამოცემით ავ ზრახვებს: მტრობას, შუღლს, უნდობლობას ემსხურება.

ეს წიგნი დიდი ინფორმაციული თავსხმის პატარა ნაწილია, რომელმაც ევროპაში არ უნდა შეანელოს რწმენა, რომ აფხაზეთის მოსახლე აფსუები (ასე უწოდებენ ისინი საკუთარ თავს დღემდე და არა სხვაგვარად, სოხუმს კი „აყვად" - სწორედ ასე ეწერა სოხუმის შესასვლელში), ქართველების მიერ იჩაგრებდნენ და ამიტომაც იბრძოლეს დამოუკიდებლობის მისაღწევად. შეიძლება იმავე ევროპამ არ იცის, თუ როგორ გამოიყურება ამჟამად ომიდან 20 წლის შემდეგ ერთ დროს საბჭოთა კავშირის ნიცად მიჩნეული სოხუმი.

ენათა ოჯახს, რომელსაც აგრეთვე ეკუთვნის ქართული, სვანური და ლაზური" და კიდევ: „1992 წელს აფხაზეთის ომის დროს მთავრობამ გუდაუთაში გადაადგილებით თავი დააღწია დაპატიმრებას და ქართველებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად მოუწოდეს აფხაზებსა და თანამოაზრეებს. ბევრი მოხალისე ჩავიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ძირითადად, ყაბარდოელები, ჩეჩნები, ადიღები, დაღესტნელები აქტიურობდნენ. მათ რიგს არ მოკლებია თურქეთის აფხაზური დიასპორაც. ომი დაიწყო". ხომ ყველასთვის ნაცნობი სიტყვებია და ისიც გემახსოვრებათ, ვისთან გაგიგონიათ და აი, ახლა ინგლისურ' და ბერძნულ ენაზეც: „აფხაზთა ჯარი (?) მიერეკებოდა 150 ათასიან სასოწარკვეთილ ქართველთა მასას" და უცებ: „ორივე მხრიდან იქნა ჩადენილი საშინელებები. დაინგრა და გაიძარცვა ქალაქები. უკან დახევისას ქართველები სპობდნენ სოფლებს და ნაღმავდნენ მათ. მოკლულთა, შიმშილისგან და სიცივისგან დაღუპულთა რეალური რიცხვი დღემდე უცნობია, ვარაუდობენ, რომ ათასებს აღმატება და აფხაზები გახდნენ „თავისი სახლის ბატონები".

იქნებ არის მსურველი, ვისაც საპიროსპიროს აზრების თავმოყრა და დაბეჭდვა ასევე ოპერატიულად შეუძლია და მაშინ ამ წიგნს გამოგიგზავნით, როგორც შურისა და ბოროტების გასაღვივებლად კიდევ ერთხელ დაწერილს ინგლისურად და გავრცელებულს სხვა მრავალ ენაზე მათ შორის ბერძნულად...

თუ ვინმეს, დააინტერესებს, მზად ვართ გამოგიგზავნოთ, როგორც ბოროტად მოსისინე გველი, რომელიც სამწუხაროდ, ერთად-ერთი არ არის, რომელიც დასრიალებს ჩვენსა და აფხაზებს შორის...

ZORENA SENGELIA

ათენი, 2014